



იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა

სარჩევი

პრეამბულა..... 3

I მართვის ინსტიტუციონალური მექანიზმები 6

1. კოორდინაციის, მენეჯმენტის და მონიტორინგის მექანიზმი

- ა) უწყებათაშორისი კომიტეტის შეხვედრები
- ბ) დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭო
- გ) ინფორმაციისა და მართვის სისტემა

2. კომუნიკაცია

- ა) კომუნიკაციის სტრატეგია და საინფორმაციო კამპანიები
- ბ) შიდა სექტორული რეფერალური სისტემა

II საკანონმდებლო ბაზა 12

1. საკანონმდებლო ბაზის გადახედვა

- ა) მიწაზე ხელმისაწვდომობა
- ბ) განსახლება
- გ) ფინანსური მომსახურება
- დ) გადასახადები

III დასაქმების სერვისები და სოფლად თვითდასაქმება სახელმწიფო პროგრამება.....17

1. დასაქმების მომსახურება

ა) წვდომა დასაქმების/კარიერის კონსულტირებაზე

2. მიწაზე ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით

ა) სოფლად სახლი

IV განათლება და გადამზადება დასაქმების ხელშესაწყობად 18

1. პროფესიული განათლების პროგრამები

ა) წვდომა პროფესიული განათლების ცენტრებზე

2. საინფორმაციო კამპანიები პროფესიული გადამზადების დაწესებულებებზე

V საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა 21

1. დევნილთა ჩართულობა სოფლის მეურნეობის სექტორში

ა) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ აგრო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა

ბ) საარსებო წყაროების გრანტები

2. დევნილების მიერ კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა

ა) კოოპერატივების ხელშეწყობა

3. დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში

ა) დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი

6. მონიტორინგი და შეფასება 24

პრეამბულა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) არის წამყვანი სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა (შემდგომში - დევნილთა) საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაზე. ამ მიზნით სამინისტრო თანამშრომლობს დევნილთა სექტორში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან . საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებულ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას“ აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

- 1) მდგრადი გრძელვადიანი განსახლების პრობლემის გადაწყვეტა;
- 2) დევნილთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- 3) დევნილთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების, განსახლების და საარსებო წყაროების პროგრამებსა და სხვა სახელმწიფო დახმარებებზე.

2014 წლის 13 თებერვალს საქართველოს მთავრობის N257 განკარგულებით მიღებული იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია“ (შემდგომში - სტრატეგია). სტრატეგიის მიზანია დევნილთა და მათი მასპინძელი თემებისათვის შექმნას შესაბამისი შესაძლებლობები მათი პოტენციალის რეალიზაციისათვის, რათა ისინი გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან და, შესაბამისად, განვითარდნენ ეკონომიკურად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად და სრულფასოვანი როლი შეასრულონ საქართველოს შემდგომ განვითარებაში. სტრატეგია აღნიშნული მიზნების მიღწევას შემდეგი ამოცანების გადაჭრით გეგმავს:

- 1) დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სექტორის ეფექტური მართვა;
- 2) მონაცემების მოპოვების, ანალიზის და გავრცელების ეფექტური მექანიზმის შექმნა;
- 3) საარსებო წყაროების პროგრამების იდენტიფიცირება, შემუშავება და განხორციელება.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის , რომელიც ძალაშია 2014 წლის 1 მარტიდან, მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად“.

2015 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 266.655 დევნილი , რომელთაგან 14.34%-ი არის პენსიონერი და 27.75%-ი ბავშვი. შრომისუნარიანი დევნილი

მოსახლეობა წარმოადგენს 57.9%-ს ანუ 154,415 პიროვნებას, მათ შორის 30,48%-ი ქალია. დევნილთა დაახლოებით ნახევარი თვლის, რომ სრულად ინტეგრაციისათვის მათ ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელი სხვადასხვა საჭიროებები გააჩნია. საშუალოდ, დევნილების შემოსავლები და დასაქმების მაჩვენებელი არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით ნაკლებია¹. დევნილებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ინტეგრირებულნი, განსხვავებული საჭიროებები აქვთ და ისინი ძირითადად საარსებო წყაროებსა და განსახლებას უკავშირდება².

დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის სამოქმედო გეგმა შემუშავდა სახელმწიფო უწყებების და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობითი პროცესის საფუძველზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

სტრატეგიის საფუძველზე შემუშავებული დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) ძირითადი მიზანია, დევნილთა დასაქმების ბაზარზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის პირობების გაუმჯობესება და მოიცავს დევნილთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც ასევე შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებულ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას“. სამოქმედო გეგმა შემუშავებული იქნება სტრატეგიის განსახორციელებლად და მისი გადახედვა შესაძლებელი იქნება საჭიროებისამებრ ყოველწლიურად.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა მოიცავს საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს დევნილი ქალებისა და გოგონების ეკონომიკურ გაძლიერებას და პროფესიულ განვითარებას. განსაკუთრებით კი, „უზრუნველყოს დევნილი, ასევე კონფლიქტისა და ომის შედეგად დაზარალებული ქალების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური უსაფრთხოება“ (მიზანი 4.3); მხარი დაუჭიროს დევნილი, ასევე კონფლიქტისა და ომის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას (აქტივობა 4.3.1); და ხელი შეუწყოს დევნილი, ასევე კონფლიქტისა და ომის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების პროფესიულ განათლებას (აქტივობა 4.3.2).

¹ “გრძელვადიან განსახლებასთან დაკავშირებით დევნილთა სურვილების კვლევა: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების“ (UNHCR, 2015 წლის ივნისი) თანახმად, დევნილი ოჯახის 4-5 წევრის საშუალო თვიური შემოსავალი 453 ლარს შეადგენს, მაშინ როცა არადევნილი მოსახლეობის საშუალო შემოსავალი 887 ლარია. დევნილთა შორის დასაქმების მაჩვენებელი 40.3%-ია. საქსტატის მონაცემების მიხედვით, ბოლო წლების განმავლობაში არადევნილი მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატება.

² “გრძელვადიან განსახლებასთან დაკავშირებით დევნილთა სურვილების კვლევა: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების“ (UNHCR, 2015 წლის ივნისი) თანახმად, დევნილების მოსაზრებით, სრული ინტეგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ისინი, პირველ რიგში, უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო წყაროებით (46.3%), კარგი საცხოვრებელი პირობების მქონე სახლით/ბინით (20.4%), სამედიცინო მომსახურებით (10.7%), და უსაფრთხოებით (7.5%).

ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (შემდგომში - სსიპ-ები) უზრუნველყოფენ სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების განხორციელებას, რათა ხელი შეუწყონ შრომის ბაზარზე დევნილთა კონკურენტუნარიანობის ზრდასა და დასაქმებას. ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები და სსიპ-ები ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტების ორგანოებთან.

სამოქმედო გეგმის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ხელშეწყობას.

სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მართვასა და მონიტორინგს განახორციელებს უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. უწყებათაშორისი კომიტეტი შედგება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს ფინანსთა, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების მოადგილეებისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან. უწყებათაშორისი კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი (შემდგომში - მინისტრი). სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების კოორდინაცია და შესაბამის მონაცემთა შეგროვება განხორციელდება სამინისტროსა და ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა სამინისტროების მიერ. უწყებათაშორისი კომიტეტს ხელმძღვანელობს სამინისტრო და სამდივნოს ფუნქციას ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო). უწყებათაშორისი კომიტეტის მუშაობის წესი მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით, ხოლო მისი შემადგენლობა - მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის N127 განკარგულების საფუძველზე შექმნილი „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში - სამეთვალყურეო საბჭო) წარმოადგენს ზემოხსენებული სამოქმედო გეგმის საერთო კოორდინაციის განმახორციელებელ ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს უწყებათაშორისი კომიტეტს.

თავი 1: მართვის ინსტიტუციური მექანიზმები

დევილთა საარსებო წყაროებზე დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს კოორდინაციის რეგულარული და ეფექტური მექანიზმი, ასევე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემები, რათა უზრუნველყოფილი იყოს დევილთა დროული ინფორმირება საარსებო წყაროების შესაძლებლობებზე.

თანამშრომლობა ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დევილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე და მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია უწყებაშორისი კომიტეტი. უწყებაშორისი კომიტეტის გადაწყვეტილებები ეყრდნობა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. შესაბამისი გადაწყვეტილებების შესახებ რეკომენდაციები შემუშავდება სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო პროცესში სრული ჩართულობით.

მონიტორინგისა და შეფასების საკითხები მოცემულია მეშვიდე თავში, ხოლო სხვა მმართველობითი კომპონენტები განხილულია მოცემულ თავში:

1. კოორდინაციის, მენეჯმენტის და მონიტორინგის მექანიზმი

ა) უწყებათაშორისი კომიტეტის შეხვედრები				
<i>მიზანი</i>	სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი სტრატეგიული მართვის უზრუნველსაყოფად			
<i>აქტივობა</i>	<i>ინდიკატორი</i>	<i>2016 და 2017 წლების შედეგები</i>	<i>პასუხისმგებელი უწყება/პირები</i>	<i>ბიუჯეტი ლარი</i>

<p>უწყებათაშორისი კომიტეტი უწევს მონიტორინგს და მართავს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს</p>	<p>ანგარიშები განვითარების შესახებ;</p>	<p>2 შეხვედრა წელიწადში შემუშავებული ანგარიშები</p>	<p>სამინისტრო</p>	<p>2016 2 032 სამინისტროები 2017 2 032 სამინისტროები</p>
<p>სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყებათაშორისი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცებული ოქმები გაწერილი რეკომენდაციებით; სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრის ოქმები; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოწონებული დაინტერესებული მხარეების მონიტორინგის ანგარიშები წელიწადში ორჯერ.</p>	<p>წელიწადში 2 შეხვედრა</p>	<p>სამინისტრო, უწყებათაშორისი კომიტეტი, სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო) ასრულებს მდივნის ფუნქციას</p>	<p>2016 680 სამინისტრო, სააგენტო 2017 680 სამინისტრო, სააგენტო</p>
<p>დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობით სამოქმედო გეგმის გადახედვა მინიმუმ წელიწადში ერთხელ (ადგილზე ერთობლივი ვიზიტების ჩათვლით)</p>	<p>დაინტერესებული მხარეების მიერ სამოქმედო გეგმის განხილვა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია წარდგენილია სამეთვალყურეო საბჭოსა და უწყებათაშორისი კომიტეტი.</p>	<p>მინიმუმ წელიწადში 1 გადახედვა</p>	<p>სამინისტრო, ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები საერთაშორისო პარტნიორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ბენეფიციარები. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო (შემდგომში - პოლიტიკისა და ანალიტიკის</p>	<p>2016 15 246 სამინისტროები 2017 15 246 სამინისტროები</p>

			სამმართველო), სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო)	
--	--	--	---	--

ბ) სამეთვალყურეო საბჭო

<i>მიზანი</i>	დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესახებ უწყებათაშორისი კომიტეტის ინფორმირება			
<i>აქტივობა</i>	<i>ინდიკატორი</i>	<i>2016 და 2017წლების შედეგი</i>	<i>პასუხისმგებელი უწყება/პირები</i>	<i>ბიუჯეტი ლარი</i>
უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომაზე სამინისტრო, სამეთვალყურეო საბჭოს სახელით, წარადგენს რეკომენდაციებს და საარსებო წყარების განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტს	სამეთვალყურეო საბჭოს ოქმები საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წარდგენილია უწყებათაშორისი კომიტეტისთვის	კვარტალური შეხვედრები	სამინისტრო და ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები. სამეთვალყურეო საბჭოს სხვა მონაწილეები (ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორი პარტნიორები)	2016 5 380 სამინისტროები 2017 5 380 სამინისტროები

გ) ინფორმაციისა და მართვის სისტემა

<i>მიზანი</i>	ინსტიტუციური მონაცემთა ბაზის შექმნა საარსებო წყაროების ინფორმირებულ და ხელმისაწვდომ ინიციატივებზე			
<i>აქტივობა</i>	<i>ინდიკატორი</i>	<i>2016 და 2017წლების შედეგი</i>	<i>პასუხისმგებელი უწყება/პირები</i>	<i>ბიუჯეტი ლარი</i>
1. შემუშავდება საარსებო წყაროების პროგრამების მიმწოდებლების, საარსებო წყაროების პროგრამების და მასში მონაწილე პირების თაობაზე	კვარტალური სექტორულ ანალიტიკური ანგარიშები წარდგენილია უწყებათაშორისი კომიტეტზე და მიწოდებული დაინტერესებული	1. მონაცემთა ბაზის შემუშავება 2016 წლის პირველი კვარტალისთვის; მონაცემთა ბაზაში ასახული	პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო სააგენტო სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული	2016 25 000 UNHCR-ისა და სამინისტროს ერთობლივი

<p>მონაცემთა ბაზა : ა) შიდა მონიტორინგისა და პოლიტიკის განვითარებისთვის;</p> <p>ბ) დევილთა საარსებო წყაროების წყაროების პროგრამებისა და მათი მომწოდებლების შესახებ ინფორმაციის ვებ გვერდზე განთავსებისთვის</p>	<p>მხარეებისთვის.</p> <p>მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ გვერდზე</p> <p>მონაცემთა ბაზა შექმნილია</p> <p>მონაცემთა ბაზა ახლდება 6 თვეში ერთხელ</p>	<p>ინფორმაციის ყოველთვიური გავრცელება 2016 წლის მეორე ნახევრიდან;</p>	<p>სამსახურის“ (შემდგომში - საქსტატი)</p>	<p>პროექტი</p>
<p>2. საარსებო წყაროების პროგრამებისა და მიზანმიმართული ინტერვენციების დასაგეგმად საბაზისო ინფორმაციის მოპოვება, მონაცემების განახლება და ანალიზი;</p>	<p>კვლევების გეგმა შემუშავებულია შინამეურნეობის კვლევაზე დაყრდნობით</p> <p>იდენტიფიცირებული კვლევები ჩატარებულია</p>	<p>კვლევების გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია 2016 წლის პირველ კვარტალში</p>	<p>პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველო,</p>	<p>2016 2 960 სამინისტრო სააგენტო, 140 000 ტექნიკური დახმარების პროექტი</p>
<p>საქსტატის შინამეურნეობისა და სოფლის მეურნეობის კვარტალური კვლევა შეიცავს ინფორმაციას, რომელიც საშუალებას იძლევა დევილთა დეტალური მონაცემთა ბაზის შექმნის შესაძლებლობას შემდეგი მიმართულებებით : განათლება, სოფლის მეურნეობა, მიწაზე</p>	<p>საქსტატის კვლევის შედეგები მიეწოდება პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველოს კვლევებისთვის</p>	<p>კვარტალური ანგარიშები</p>	<p>საქსტატი, პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველო</p>	<p>2016 2 046 სამინისტრო</p> <p>2017 2 046 სამინისტრო</p>

ხელმისაწვდომობა, საარსებო წყარო/დასაქმება				
---	--	--	--	--

2. კომუნიკაცია

ა) კომუნიკაციის სტრატეგია და საინფორმაციო კამპანიები

მიზანი	გამლიერებული კომუნიკაციის არხები, პროცედურები და სისტემები უზრუნველყოფენ დევნილთა დროულ ინფორმირებას და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
1. სამინისტრო მიიღებს მისი უწყების კომუნიკაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.	1. კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია და დამტკიცებული	1. სტრატეგიის დამტკიცება 2016 წლის პირველ კვარტალში; კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის კომპონენტების განხორციელებაში საჭიროებისამებრ ჩართულია კერძო სექტორი;	პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო, სააგენტო, სამინისტროს პროცესებზე ორიენტირებული ტექნიკური დახმარების პროექტი (შემდგომში - სამინისტროს ტექნიკური დახმარების პროექტი)	2016 6 204 სამინისტრო
2 დევნილების ინფორმირებისთვის საინფორმაციო კამპანია დევნილთა უფლებების და სახელმწიფო პროგრამების შესახებ საარსებო წყაროების შესაძლებლობებზე ინფორმირებულობის შესახებ ძირითადი მონაცემების შეფასება ჩატარებულია	2. სამინისტროს ხელმძღვანელობით განხორციელებული ყოველწლიური საინფორმაციო კამპანიებს დევნილთა საინფორმაციო საჭიროებების გათვალისწინებით საინფორმაციო მასალები (ბროშურები, სარეკლამო რგოლები) მომზარებულია და გავრცელებულია მინიმუმ 60 000	მინიმუმ 4 საინფორმაციო კამპანია 2016 წელს; მინიმუმ 4 საინფორმაციო კამპანია 2017 წელს; დევნილთა ინფორმირებულობის დამოუკიდებელი შეფასება, განსაკუთრებული ყურადღებით გამორჩეულად მოწყვლად შინამეურნეობებზე.	სამინისტრო და სააგენტო	2016 წ 100 000 სააგენტო 2017 წ 120 000 სააგენტო

2016 წლის პირველი კვარტლისთვის	დევენილისთვის გამოკითხულ დევნილთა მინიმუმ 70% ინფორმირებულია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ.	გამოკითხულთა მინიმუმ 40% ქალებია (2016 წლის პირველი კვარტალი; 2016 წლის ბოლო კვარტალი - ეფექტის შეფასება)		
სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების უზრუნველყოფა ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით	საინფორმაციო მასალა მომზადებულია და გავრცელებულია სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში; ტერიტორიულ ორგანოების მიერ განხორციელებულია საინფორმაციო კამპანიები დევენილთა ინფორმირებულობის ამაღლებული დონე; ცხელ ხაზზე ზარების რაოდენობა	საინფორმაციო მასალა განაწილებულია: 1. 4 ტერიტორიულ ორგანოზე 2016 წლის ივნისის ბოლოსათვის ; 2. სერვისის მიმწოდებლის 50% -ზე 2016 წლის ივნისის ბოლოსთვის და 100% ზე 2016 წლის დეკემბრის ბოლოსთვის; 3. მინიმუმ 20000 ბროშურა დარიგებულია წლის მანძილზე	სამინისტრო; სააგენტო	

ბ) შიდა სექტორული რეფერალური სისტემა

მიზანი	ბენეფიციარების გადამისამართება შესაბამის უწყებებთან და სერვისების მიმწოდებლებთან			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
რეფერალური სისტემის დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა გადამისამართებას შესაბამის უწყებებთან და სერვისის	ცხელი ხაზის სისტემა განახლებულია ისე რომ ითვალისწინებს რეფერალურ ზარებსაც. წინასწარმომზადებული კითხვარების	2016 წლის 1-ლი კვარტლის დასასრული 2016 წლის დასასრული	სამინისტრო, პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული	<u>2016</u> <u>20 000</u> UNHCR-ისა და სამინისტროს ერთობლივი პროექტი

<p>მომწოდებლებთან</p>	<p>მეშვეობით გამოკვლეულია დევნილთათვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული საჭიროებები, კითხვარების ანალიზი ადასტურებს დევნილთა მიერ საარსებო წყაროების პროგრამებით სარგებლობის და მათთვის საჭირო სხვადასხვა სერვისების მიღების შესაძლებლობის ზრდას</p>	<p>2017 წლის დასასრული</p>	<p>სამინისტროები სერვისის მიმწოდებლები</p>	
<p>სამინისტროს ცხელი ხაზის და დევნილთა მისაღები ცენტრის, ასევე მუნიციპალიტეტებისა და სერვისების სხვა მიმწოდებლების წარმომადგენლების გადამზადება საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ, რათა მოახდინონ დევნილების დროული გადამისამართება შესაბამის უწყებებთან</p>	<p>სასწავლო მოდულები შემუშავებულია; ყველა თანამშრომელი გადამზადებულია</p>	<p>სასწავლო მოდულების შემუშავება 2015 წელს მინიმუმ 1 ტრენინგი 2015 წელს; მინიმუმ 4 ტრენინგი 2016 წელს (რეგიონებისა და სამინისტროს ცენტრალური ოფისის დაფარვით); მინიმუმ 4 ტრენინგი 2017 წელს</p>	<p>სამინისტრო, ტექნიკური დახმარების პროექტი</p>	<p>2016 წელი; 30 000 ტექნიკური დახმარების პროექტი; 2017 წელი 20 000 სააგენტო</p>
<p>ბიუჯეტი</p>				<p>2016: 349 548 2017: 165 384</p>

თავი 2: საკანონმდებლო ბაზა

ბენეფიციარებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციამ წინ წამოწია საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანის საკითხი. აღნიშნული უნდა განხორციელდეს დევნილთათვის შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული აქტივობების,

ბიზნესის შექმნის, მეწარმეობის და ა.შ. ხელის შეწყობის მიზნით. ხელისშემშლელი ინსტიტუციონალური და პოლიტიკური ფაქტორების შესამსუბუქებლად შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები უნდა იქნეს გაანალიზებული შემდეგ სფეროებში.

1. საკანონმდებლო ბაზის გადახედვა

ა) მიწაზე ხელმისაწვდომობა

მიზანი	დევილთა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მდგრადი საარსებო წყაროების უზრუნველსაყოფად სოფლად და რაიონულ ცენტრებში			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
არსებული კანონებისა და რეგულაციების გადახედვა ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება სასოფლო სამეურნეო მიწებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით.	რეკომენდაციები მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილული იქნა რეკომენდაციები უწყებათაშორისი კომიტეტის ოქმი, სადაც მიიღეს შედეგები და რეკომენდაციები	ანალიტიკური სამუშაოები განხორციელდა, სადისკუსიო დოკუმენტი მომზადდა და განიხილა უწყებათაშორის კომიტეტზე 2016 წელს; საჭიროების შემთხვევაში მიიღებულ იქნება გადაწყვეტილება, საჭიროებისამებრ კანონში ცვლილებების ინიცირება დაიწყება 2017 წელს.	სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2016 7 040 სამინისტროები
მიწაზე ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი (საქსტატი და სხვა წყაროები) და სახნავ-სათეს მიწაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციები	მიწაზე ხელმისაწვდომობის კვლევა წარდგენილია სამეთვალყურეო საბჭოზე (ინფორმაცია ჩაშლილია სქესის მიხედვით)	2016 წლის მეორე კვარტალში ჩატარებულია კვლევა	სამინისტრო, პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველო, საქსტატი	2016 1 750 სამინისტროები

ბ) განსახლება

მიზანი: გრძელვადიანი საცხოვრებლის შეთავაზება როგორც

ბენეფიციარების საარსებო წყაროების პროგრამებში ჩართვის ხელშემწყობი				
<i>აქტივობა</i>	<i>ინდიკატორი</i>	<i>2016 და 2017 წლების შედეგი</i>	<i>პასუხისმგებელი უწყება/პირები</i>	<i>ბიუჯეტი ლარი</i>
განსახლების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის გადახედვა პრივატიზაციის პროცესის დასაჩქარებლად (მათ შორის კოლექტიური დასახლების პუნქტებში)	განსახლების განახლებული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და უწყებათაშორისი კომიტეტის მიერ. ამხანაგობების რაოდენობა პრივატიზებული ფართით პრივატიზებული საცხოვრებლების გაზრდილი მაჩვენებელი (%)	მინიმუმ 50 ამხანაგობა 2016 წელს 200% იანი ზრდა 2017 წელს 2014 წელს 18,149 საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა დევნილებს 2015 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 15%-ით იქნება გაზრდილი, 2016 – 7% და 2017 – 6% 2016 წელს გამოყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებლების 80% იქნება პორივატიზირებული 2017 წელს გამოყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებლების 80% იქნება პორივატიზირებული	სამინისტრო, დევნილთა საკითხების დეპარტამენტი	2016 102 630 სამინისტრო 2017 102 630 სამინისტრო

გ) ფინანსური მომსახურება				
<i>მიზანი</i>	დევნილთათვის ფინანსურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება			
<i>აქტივობა</i>	<i>ინდიკატორი</i>	<i>2016 და 2017 წლების შედეგი</i>	<i>პასუხისმგებელი უწყება/პირები</i>	<i>ბიუჯეტი ლარი</i>

არსებული კანონმდებლობის გადახედვა საარსებო წყაროების აქტივობების დასაწყებად დევნილებისათვის ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით იმ პროექტებზე რომლებშიც ქალების მონაწილეობაა გათვალისწინებული.	რეკომენდაციები განხილულია სამეთვალყურეო საბჭოსა და უწყებათაშორის კომიტეტზე რეკომენდაციების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინება საქართველოს მთავრობას სხდომაზე განსახილველად.	სამეთვალყურეო საბჭო 2016 წლის შუა საქართველოს მთავრობის სხდომაზე გაგზავნილია 2016 წლის ბოლოს	სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2016 8 800 სამინისტროები
---	--	---	---	--

არსებული საგრანტო/ვაუჩერების სისტემის გადახედვა განსაკუთრებით მოწყვლადი დევნილებისთვის სუბსიდირებისა და საგრანტო პროგრამებზე ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.	2016 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროებია ტარებენ მინიმუმ 1 პროგრამას მიმართულს დევნილების საჭიროებებზე საგრანტო და სუბსიდირების პროგრამებზე დევნილთა წვდომის მზარდი მაჩვენებელი	განსაკუთრებით მოწყვლად დევნილებზე ორიენტირებული პროგრამები შემუშავებულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამინისტროებთან ერთად 2016 წელს; აღნიშნული პროგრამების განხორციელება დაიწყება 2017 წელს და ბენეფიციართ რაოდენობა მოიმატებს 10%-ით	სამინისტრო, სააგენტო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2016 7 920 სამინისტროები
--	--	--	--	--

დ) გადასახადები

მიზანი	ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
1. საგადასახადო სფეროში არსებული	რეკომენდაციები მომზადებულია და ასახულია სამეთვალყურეო	ანგარიში ხელმისაწვდომია 2016 წლის მესამე კვარტლის	სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა	2016 8 800

<p>კანონებისა და რეგულაციების გადახედვა, დევნილთა დამწყები ბიზნესის გადასახადებისგან განთავისუფლების პოტენციალის შეფასების მიზნით</p>	<p>საბჭოს და უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომის ოქმებში</p>	<p>ბოლოსთვის. უწყებათაშორისი კომიტეტის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება 2016 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საჭიროებისამებრ მიღებული იქნება 2017 წლის დასაწყისში</p>	<p>სამინისტრო; სსიპ „შემოსავლების სამსახური“;</p>	<p>სამინისტროები</p>
<p>ბიუჯეტი</p>				<p>2016: 136 940 2017: 102 630</p>

თავი 3: დასაქმების სერვისები და სოფლად თვითდასაქმება სახელმწიფო პროგრამებით

დასაქმება და თვითდასაქმება საზოგადოებაში დევნილთა მდგრადი ინტეგრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეთავაზებული პროგრამები დაეხმარება დევნილებს ტრენინგების და გადამზადების გზით, ასევე უზრუნველყოფს მათ სარეკომენდაციო წერილით, დაეხმარება სამსახურის მოძიებაში. ზოგო დევნილი ოჯახი უპირატესობას ანიჭებს სოფლად ინტეგრაციას და სასოფლო-სამეურნეო მიწებს საარსებო წყაროების გასაუმჯობესებლად. ასეთ ოჯახებს სამინისტრო პროგრამა „სოფლად სახლის“ ფარგლებში დაეხმარება.

1. დასაქმების მომსახურება

ა) წვდომა დასაქმების/კარიერის კონსულტირებაზე

მიზანი	საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ დევნილთა რაოდენობის გაზრდა			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
დევნილებისთვის დასაქმების, გადამზადებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა	სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ მიერ შეთავაზებული „სამუშაოს მაძიებელთა ტრენინგისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციართა 10% დევნილები არიან (მათგან მინიმუმ 40% ქალები)	10% 2016-ში 2017-ის მიზნები დადგინდება 2016 წლის შუაში	სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, სამინისტრო, სააგენტო	2016 წელი 145 000 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ 2017 წელი 145 000 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“
შრომის ბაზარზე ქცევის წესების თაობაზე (სამუშაოს ძიება, თვითშეფასება, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის მომზადება, გასაუბრებაზე გასვლა და თვითპრეზენტაციის უნარების განვითარება)	დევნილთა რაოდენობა რომლებმაც მიიღეს პროფესიული კონსულტირება გაზრდილია 400%-ით 2015 დან 2016 და 2017 წლებში (მათგან მინიმუმ 40%	2016 წელს 400%-იანი ზრდა 2017 წლის მიზნები განისაზღვრება 2016 წლის მეორე ნახევარში	სამინისტრო, სააგენტო; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“	2016 3 300 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, 2017 3 300 სსიპ

ჯგუფური კონსულტაციების ორგანიზება	ქალები)			„სოციალური მომსახურების სააგენტო“;
-----------------------------------	---------	--	--	------------------------------------

2. მიწაზე ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით

ა) სოფლად სახლი

მიზანი	რეგიონებში ინტეგრაციის შესაძლებლობების შექმნა მიწის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
სამინისტროს „სოფლად სახლის“ პროგრამა უზრუნველყოფს სოფლად განსახლების მსურველ დევნილების ისეთ ადგილებში განსახლებას, სადაც საცხოვრებელთან ერთად ხელმისაწვდომია მიწა	დევნილ ოჯახთა რაოდენობა რომლებსაც საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად	200 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად 2016 წელს 200 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად 2017 წელს	სამინისტრო	2016 წ 4 000 000 სამინისტრო 2017 წ 4 000 000 სამინისტრო
ბიუჯეტი				2016: 4 148 300 2017: 4 148 300

თავი 4: განათლება და გადამზადება დასაქმების ხელშესაწყობად

სამუშაო ბაზარზე ინტეგრაცია აუცილებელია არამარტო შემოსავლისთვის, არამედ სოციალური ურთიერთქმედებისთვის. თუმცა, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, რომლებსაც ხშირად არასაკმარისი უნარები და შეზღუდული ხელმისაწვდომობა აქვთ სოციალურ კავშირებზე, პირველი ნაბიჯი ძალიან მძიმეა. აქედან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მათ გამოიყენონ ამჟამად ხელმისაწვდომი ინსტიტუციონალური დაწესებულებები, როგორც არის პროფესიული განათლების სასწავლებელი და პროფესიული გადამზადების სხვა შესაძლებლობები, სადაც ისინი შეძლებენ განახლონ ცოდნა და უნარები.

1. პროფესიული განათლების პროგრამები

ა) წვდომა პროფესიული განათლების ცენტრებზე

მიზანი	იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიული გადამზადება შრომის ბაზარზე უკეთესი შესაძლებლობებისთვის			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017	პასუხისმგებელ	ბიუჯეტი

		წლების შედეგი	ი უწყება/პირები	ლარი
პროფესიული განათლების დაწესებულებებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობა	დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის თაობაზე (ჩაშლილი სქესის მიხედვით) საინფორმაციო კამპანიები პროფესიული განათლების დაწესებულებების პროგრამებისა და ჩარიცხვის პროცედურების შესახებ	2016 წელს 50%-იანი მატება 2015 წლის მაჩვენებლებთან შედარებით (მათგან მინიმუმ 40% ქალები) 2017 წლის მიზნები განისაზღვრება 2016 წლის მეორე ნახევარში	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამინისტრო, სააგენტო	2016 1 150 000 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ყველა დევნილ სტუდენტს, რომელიც 2016 წელს ჩაირიცხა პროფესიული განათლების საჯარო დაწესებულებაში საჭიროების მიხედვით გამოეყოს ტრანსპორტირება/საცხოვრებელი	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ინფორმაცია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციარებზე პროფესიული განათლების დაწესებულებებში ჩარიცხულ დევნილთა სია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სტუდენტთა გამოკითხვა	2016 ყველა დევნილ სტუდენტს, რომელიც 2016 წელს ჩაირიცხა პროფესიული განათლების საჯარო დაწესებულებაში საჭიროების მიხედვით მიიღებს დახმარებას 2017 წლის მიზნები განისაზღვრება 2016 წლის მეორე ნახევარში	სამინისტრო, სააგენტო,	<u>2016</u> 60 000 სამინისტრო

ბ) საინფორმაციო კამპანიები პროფესიული გადამზადების ცენტრებზე

მიზანი	დევენილთა ინფორმირებულობა პროფესიული გადამზადების დაწესებულებების თაობაზე			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
საინფორმაციო კამპანია აპლიკაციის პროცედურებსა და პროგრამების სახეობებზე	<p>პროფესიული განათლების დაწესებულებებში ი გენდერული თანასწორობაზე ორიენტირებულ ი საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა</p> <p>საინფორმაციო კამპანიების შედეგად არა-ტრადიციულ პროგრამებზე ქალთა განაცხადების რაოდენობა</p>	4 კამპანია 2016	სამინისტრო, სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2016 20 000 სამინისტრო, სააგენტო
დევენილთა ინფორმირება სტიპენდიების/შემწეობებისა და აპლიკაციის პირობების შესახებ	პოტენციური ბენეფიციარების მიღწეული რაოდენობა	4 კამპანია 2016	სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	
ბიუჯეტი				2016: 1 230 000 2017: დაზუსტდება 2016 წელს

თავი 5: საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა

საარსებო წყაროების პროგრამები დამატებითი სტიმულია ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისა და მეწარმეების მოტივირებისათვის, ასევე მოწყვლად კატეგორიაში შემავალი მოსახლეობის მხარდასაჭერად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მათთვის შემუშავებულ პროექტებში. ამჟამად, დევნილებს შეუძლიათ ისარგებლონ სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული პროექტებით, რომელიც ხორციელდება განახლებული ბაღების, მცირე ფერმერების და კოოპერატივების მხარდასაჭერად. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სთავაზობს ბიზნესის დამწყებებს მხარდაჭერას „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ასევე ქმნის სამუშაო ადგილებს ინვესტირებისათვის გამოუყენებელი სახელმწიფო ქონების მიყიდვით.

1. დევნილთა ჩართულობა სოფლის მეურნეობის სექტორში

ა) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ აგრო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა

მიზანი	გაიზარდოს დევნილთა ჩართულობა სოფლის მეურნეობის სექტორში ამ სფეროში სახელმწიფოს მერ დაფინანსებულ პროგრამაზე წვდომის გზით			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
იმ დევნილთა მხარდაჭერა რომელთაც სურთ დაიწყონ ან გააფართოვონ სასოფლო-სამეურნეო აქტივობები მაგრამ ყოყმანობენ დაზღვევის პირობების გამო (5 ჰექტარზე ნაკლები მიწა)	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სადაზღვეო პროგრამაზე დევნილთა განცხადებების რიცხვი 2016 წელს გაზრდილია 600%-ით.	2016 წელს 600%-იანი ზრდა 2017 წლის მიზნები განისაზღვრება 2016 წლის მეორე ნახევარში	სამინისტრო, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“, სააგენტო	<u>2016</u> 245 000 ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ 70 000 სამინისტრო

ბ) საარსებო წყაროების გრანტები

მიზანი	დევნილები მიიღებენ ხარჯების თანამონაწილეობის გრანტს თვითდასაქმებისთვის			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების მიზანი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
სააგენტოს მიერ ბენეფიციარებისთვის თანამონაწილეობრივი საგრანტო პროგრამის განხორციელება (ბენეფიციარზე 2000	შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები შემუშავებულია და დამტკიცებული	2016 წელი 200 გრანტი 2017 წელი 400 გრანტი 2016 წელს	სამინისტრო, სააგენტო	2016 წელი 250 000 სამინისტრო 2017 წელი

ლარამდე) (საპილოტე/ მიზნობრივი პროექტი)	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მიღებული და განხილული აპლიკაციების რაოდენობა, მათგან მინიმუმ 40% ქალი	მიღებული აპლიკაციების 90% განხილულია		500 000 სამინისტრო
--	---	---	--	---------------------------

2. დევნილების მიერ კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა

ა) კოოპერატივების ხელშეწყობა

მიზანი	კოოპერატივების შექმნისას დევნილები იღებენ ინფორმირებულ გადაწყვეტილებას			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
დევნილთა ჩართვა კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში	დევნილთა მფლობელობაში ან მათი მონაწილეობით შექმნილი კოოპერატივების რაოდენობა გაზრდილია 300% (2015 დან 2016 წლამდე)	2016 წელს 300% იანი მატება 2017 წლის მიზნები განისაზღვრება 2016 წლის შუაში	სამინისტრო, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, სააგენტო	2016 სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ 220 000

3. დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში

ა) დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი

მიზანი	ბიზნეს ტრენინგებით უზრუნველყოფა, ბიზნეს გეგმის შემუშავების უნარები და გრანტები დამწყები მეწარმეებისთვის			
აქტივობა	ინდიკატორი	2016 და 2017 წლების შედეგი	პასუხისმგებელი უწყება/პირები	ბიუჯეტი ლარი
ბიზნეს ტრენინგი იმ დევნილთათვის, რომელთაც სურთ დაიწყონ ან გააფართოვონ მცირე ბიზნესი	„მიკრო და ცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი, დევნილთა მფლობელობაში ი მყოფი	2016 წელს 65% იანი ზრდა 2017 წლის მიზნები განისაზღვრება 2016 წლის შუაში	სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ სააგენტო სამინისტრო	2016 500 000 სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“

	ბიზნესების რაოდენობა 2015 დან 2016 წლამდე გაზრდილია 65% ით (მათ შორის მინიმუმ 40% ქალია)			
ბიუჯეტი				2016: 1 285 000 2017: 500 000
ბიუჯეტი				2016: 7 149 788 2017: 4 916 314³

³ 2017 წლის ბიუჯეტი გადაიხედება და დაზუსტდება 2016 წელს

თავი 6: მონიტორინგი და შეფასება

ამ სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი წარმოადგენს უწყებათაშორისი კომიტეტის პრეროგატივას, რომელიც შედგება ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროების მინისტრის მოადგილეების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან. უწყებათაშორისი კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი. სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ასევე ჩართულია სამეთვალყურეო საბჭო, სადაც სამინისტროებთან ერთად წარმოდგენილია დონორები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. სამეთვალყურეო საბჭო წარუდგენს რეკომენდაციებს უწყებათაშორისი კომიტეტს. უწყებათაშორისი კომიტეტის შეხვედრების ოქმები გამოქვეყნდება სამინისტროს ვებ გვერდზე.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პასუხისმგებლობა სამუშაო დონეზე ეკისრება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამინისტროებში დევნილთა საკითხებზე მომუშავე თანამშრომლებს, რომლებიც შეაგროვებენ მონაცემებს და მოახდენენ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო საინფორმაციო ხარვეზების იდენტიფიცირებას. სააგენტო, როგორც უწყებათაშორისი კომიტეტის სამდივნო და დამხმარე სტრუქტურა, კოორდინაციას გაუწევს მონაცემების შეგროვებას და უზრუნველყოფს ანგარიშგებას სამოქმედო გეგმის განხორციელების მიღწევებზე.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროების თანამდებობის პირები, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტების ორგანოებთან საარსებო წყაროებთან დაკავშირებული მონაცემების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები გამოიყენებენ ადმინისტრაციულ მონაცემებს ბენეფიციარების მონაწილეობის მონიტორინგისთვის. დევნილთა სამთავრობო პროგრამებზე, როგორც არის, მაგალითად, დასაქმების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ტრენინგები, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და თვითდასაქმება, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამინისტროებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური მონაცემები.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მონაცემთა შეგროვების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ პირდაპირი შეხება დევნილებთან, მათ აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ მიღებული გამოცდილების აღრიცხვა, უზრუნველყონ მონაცემთა შეგროვება და დევნილთა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ინფორმირება.

საკონსულტაციო შეხვედრები, რომელიც ჩატარდა საქართველოს ოთხ რეგიონში დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესში, უნდა გაგრძელდეს სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს, რათა უზრუნველყოფილ იქნას უკუკავშირი მუნიციპალურ დონეზე, სადაც განხორციელება ახდენს პირველად ეფექტს. სასურველი იქნება შეხვედრების წელიწადში სულ მცირე ორჯერ ჩატარება და ისინი უნდა განხორციელდეს დევნილებთან და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროების მუნიციპალიტეტის ორგანოების ჩართულობით. სააგენტო უზრუნველყოფს საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას.